ფინანსური მენეჯერის აუთსორსინგი

BDO

ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელობა ორგანიზაციებში



ფინანსური მენეჯმენტი არის კომპანიის ფინანსური რესურსების დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის პროცესი მისი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. იგი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოყოს კომპანიამ სახსრები გონივრულად და ეფექტურად, რათა უზრუნველყოს ორგანიზაციის ფინანსური კეთილდღეობა. ფინანსური მენეჯერის როლი მოიცავს ისეთ საქმიანობებს, როგორიცაა ბიუჯეტირება, პროგნოზირება, რეპორტინგი, ანალიზი, ფულადი სახსრების მართვა, ინვესტიციებისა და დაფინანსების დანახარჯების შეფასება. ფინანსური მენეჯერის საბოლოო მიზანია ორგანიზაციის ღირებულების მაქსიმალურად გაზრდა მისი ფინანსური რესურსების ყველაზე ხელმომჭირნე და ეფექტური გამოყენების გზით.

ფინანსური მენეჯერის სერვისები

ფინანსური მენეჯერის აუთსორს სერვისები მოიცავს როგორც მიმდინარე, ასევე ერთჯერად მომსახურებებს.

მიმდინარე მომსახურებები

- დაგეგმვა და ბიუჯეტირება
- ფინანსური და მენეჯერული რეპორტინგი
- ფინანსური მონაცემების ანალიზი
- ფინანსური კონსულტაციები

ერთჯერადი მომსახურები

- ბიზნეს დიაგნოსტიკა
- ფინანსური მოდელირება

ფინანსური მენეჯერის სერვისები

ბიზნეს დიაგნოსტიკა

- SWOT ანალიზი და მიმდინარე პოზიციონირების შეფასება
- ბიზნეს პროცესების შესწავლა და ანალიზი
- KPI ანალიზი ან/და გაწერა
- ფინანსური გუნდის სტრუქტურის ანალიზი და სამუშაოს დელეგირების შესწავლა ან/და გაწერა
- სააღრიცხვო პოლიტიკის განახლება ან/და გაწერა
- კონტროლის პროცედურების და სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესწავლა ან/და გაწერა

ფინანსური მოდელირება

- დაფინანსების წყაროს დანახარჯების შეფასება
- ინვესტიციების მომგებიანობის შეფასება
- დივიდენდების განაწილება VS რეინვესტირება

ფინანსური მენეჯერის სერვისები

დაგეგმვა და ბიუჯეტირება

- ბიუჯეტის ფორმატის შერჩევა და მომზადება
- გეგმა-ფაქტიური სხვაობების გამოთვლა და ანალიზი
- საბრუნავი კაპიტალის დაგეგმვა

ფინანსური და მენეჯერული რეპორტინგი

- სავალდებულო ფინანსური რეპორტის მომზადება

სხვადასხვა ტიპის მენეჯერული რეპორტების მომზადება:

- მოგება-ზარალის და მარჟის ანალიზი საქმიანობების ჭრილში
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი
- თვითღირებულების ანალიზი standard costing ან ABC costing-ის მეთოდების გამოყენებით
- „Aging“ რეპორტინგი

ფინანსური მენეჯერის სერვისები

ფინანსური მონაცემების ანალიზი

- ფინანსური კოეფიციენტების გამოთვლა, ანალიზი და რეკომენდაციები
- KPI გამოთვლა, ანალიზი და რეკომენდაციები
- საბრუნავი კაპიტალის გამოთვლა და მართვა
- საკურსო ეფექტის ანალიზი და მართვა

ფინანსური კონსულტაციები

- მიმდინარე ფინანსურ საკითხებზე რეკომენდაციები და კითხვა-პასუხი
- ბანკის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია კომპანიის სახელით
- გარე და შიდა აუდიტორებთან კომუნიკაცია კომპანიის სახელით

რა სარგებელს მოგიტანთ ფინანსური მენეჯმენტი?

რისკ მენეჯმენტი

ზუსტი ფინანსური ანგარიშგება იძლევა ფინანსური რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზის შესაძლებლობას, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს მიიღოს საჭირო ზომები მათ შესამცირებლად და დანერგოს სწორი კონტროლის მექანიზმები.

მზადყოფნა გამოწვევებისთვის

ფინანსური ანგარიშები გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ეხმარება ბიზნესს, წინასწარ განსაზღვროს პოტენციური გამოწვევები და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

კომპანიის სუსტი წერტილების დანახვა

ფინანსური რეპორტების საშუალებით, ბიზნესს შეუძლია გამოავლინოს კომპანიის სუსტი მხარეები, არაეფექტურობა და გაუმჯობესების შესაძლებლობები. ეს კომპანიას საშუალებას აძლევს მიიღოს მაკორექტირებელი ქმედებები და გააუმჯობესოს თავისი საქმიანობა.

ფინანსური აღრიცხვის სტანდარტებთან შესაბამისობა

პროფესიონალი ფინანსური მენეჯერი უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებთან და რეგულაციებთან შესაბამისობას და ინფორმაციის გამჭვირვალობას. შესაბამისად, შემცირებულია სამართლებრივი და ფინანსური ჯარიმების რისკი, რაც კომპანიას უფრო მიმზიდველს ხდის ინვესტორებისთვის.

BDO-ს სპეციალისტები

ქეთევან ზარიძე

პარტნიორი, ბიზნეს სერვისების აუთსორსინგი

Kzaridze@bdo.ge

მიხეილ ჟუჟუნაშვილი

დირექტორი, ფინანსური მენეჯერის აუთსორსინგი

mzhuzhunashvili@bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.

©2023 შპს ბიდიო საქართველო. ყველა უფლება დაცულია

www.bdo.ge